# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 110. ხუთშაბათი, 17 აპრილი 1903 წ. გაზეთის № 2124.


## სანაოზედ

(სურათი გურიის ცხოვრებიდან)

— ივანაი! ივანაი! რაცლა დროიზა გამოარონიე მაი ნავი!—გასძახოდა მენავეს მოხუცებული გურული მდ. სუფსის ერთ ნაპირიდან მეორეზე და თან შუბლზე ხელი მიეფარებინა.

მდ. სუფსის ორივე ნაპირს დასცემდა დაბალი სახნავ სათესი ველი, სადაც აქა-იქალა მოსჩანდა მიმტვრეულ-მომტვრეული, უკვე გამხმარ-გამოფიტული ღეროები ნახევარ ადლზედ გადაჭრილ სიმინდისა. შემდეგ იწყებოდა ზვირთებივით აქან-დაქანებული, ტყით მოსილი სერები. ყველა ეს თავდებოდა მაღალის მთებით, რომლის ტიტველ მწვერვალებს მძიმედ დასწოლოდა სქელი და ტყვის ფერი ჯანყი. ადგილ-ადგილ ტყეში ბუნდოვანად მოსჩანდა აქა-იქა გაფანტული და ობლად გადმომდგარი ოდები. ნოტიო ჰაერი, დამპალ ჭაობების ნაორთქლთან შერეული, მძიმედ და შესაზარად ჰხვდებოდა ყნოსვას, კაცს სუნთქვას უძნელებდა, სახეს ორთქლივით ედებოდა და უსიამოვნოდ უჭიჭრავდა. მზე თუმცა მაღლა იყო ამოწეული, მაგრამ უძნელდებოდა ჯანყის გარღვევა და, ნილაბ აკრული, მიუწდომელ სიმაღლიდან პირშავად ოდნავ გამოიყურებოდა.

მენავეს წყალში მოსარევი ჭოკი*) გასტეხოდა, ახალის საშოვნელად თავის თანაშემწე, ნიკალა, გაეგზავნა, იმის მოლოდინში ნავის ტუჩს მიჰყუდებოდა და თუთუნს შეექცეოდა შემოდგომის პირი იყო. სუფსა თან-და-თან დიდდებოდა. ტალღები ტალღებზედ მიხტოდნენ, გზაში ერთმანეთს ეწეოდნენ, ლონივრად ეჯახებოდნენ და შუილ-ხუილით მიექანებოდნენ. ამიტომაც მოხუცის სუსტი ხმა ვერ უწევდა მეორე ნაპირს.

— კუტაი!—მიუბრუნდა მოხუცი ახალგაზრდა გურულს, რომელიც იქვე ახლოს, წყლის პირად, მხართეძოზედ წამოწოლილიყო და, თითქო ტალღებს შეჰხარისო, დრო გამოშვებით სახე ულიმოდა და სასიამოვნოდ უთამაშებდა.—კუტაი!—გაიმეორა მოხუცმა:—უკივლე ერთი სახე ივანიკას, თვარამ ვერ გეიგო ჩემი!—ეხვეწებოდა მოხუცი.

ყმაწვილმა უსიამოვნოდ ასწია მაღლა თავი, ყაბალახი თავიდან ოდნავ გადიწია და გაკვირვებით შეაჩერდა მოხუცს, თითქო ეუბნებოდა: შე ჩერჩეტო, შე ავო, რა კივილი უნდა, ივანიკას თითონაც კარგად ესმის თავის მოვალეობაო.

— უკივლე, კუტა, ჰო, უკივლე ერთი გზობა მაინც, თვარა მე რდ შემეშჩერებიხარ, რა გგონია, კისერზედ წამოგიჯენ და ისე გადაგახტუნებ თუ?—გაჯავრებულის კილოთი აუმაღლა ხმა მოთმინებიდან გამოსულმა მოხუცმა.

*) გძელი ჯოხი.

— იქით კედროთ, ნავთან, შუაზედ გადატკრეცილი ჭოკი რომ გდია, ვერ ხედავ, ბატონო!—გამოეპასუხა ახალგაზრდა, ერთი უგემურად შეჰხედა მოხუცს და მალე ისევ წყლისკენ წაიღო თვალები.

— რაიო?—გაკვირვებით იკითხა მოხუცმა, ერთის ხელით ყაბალახი შეიმაგრა, მეორე შუბლზედ მიიტანა და მოჰყვა გაღმისკენ თვალიერებას

— რაიო და ვიცადოთ უნდა ერთი სახე... ნიკოლა ქე წასრულია ჭოკიზა და ელანდზედ*) გაჩნდება!—ჩამოართო სიტყვა ახალგაზრდამ და წარბები შეათამაშა.

— აბა, კუტა, ქე დავესახლეთ აწი აქანე ქვეყნის დაქცევა-გადარებამდე დ მაგია!—წამოიძახა მსწრაფლ ალეწილმა მოხუცმა და გამოაჩინა წვერ-ულვაშში ჩავარდნილი მორგვალო პირი, საიდანაც მოსჩანდა ორიოდე-ღა ჩაყვითლებული და



ქარიშხალში.—სურათი კელერისა.

ჭიისაგან შეხრილ-შეჭმული კბილი:—კალანდობამდის თუ მოგვიწია კიდევ კაი!—განაგრძო გულ-მოსულად და მორღვეულ, ჭალარა ატეხილ წარბებ ქვეშ ჩაცვივნულ პატარა თვალებიდან სულ ცეცხლები გაჰყარა:—აბდალაი რომ იქნება კაცი, ისა

*) ერთწუთზედ.

სთქვი, თვარა რავას გავტეხ ჭოკს, ან დაზიანებული თუ იყო, რეიზა მიჰქონდა ყაზილარსა!.. მარამ რა ენაღვლება, თუ გოჯასპირს აქანე ყუნცულით*) დაენგრევა მთლათ სახლკარი!— მოხუცი მოჰყვა ჩივილს, სოფელს თუ მამასახლის სულ ქარცეცხლი გადააყარა თავზედ „აბდალა“ მენავის ამორჩევისთვის:



აფრიკის სოფელი დაკარი.

მაცალონ მაგათ! აგი აქ არ იყოს,—მოისვა ულვაშებზედ ხელი,— თუ არ გადავახდეით ყველაყას ჩემი ზარალი!—აქ მოჰყვა ზარალის აღრიცხვას, ქაღალდებიც გააკეთა და მხოლოდ მაშინ უკლო ხმას, როცა გაუჭირდა ამ საკითხის გადაწყვეტა: სად გაეგზავნა საჩივარი, მთავარ-მართებელთან თუ სამინისტროში: —დალახვრა ღმერთმა! ვფიქრობდი, სინათლიზა მივალ სახლში, პაწია სიმინდი მქონდა ნალიაში, ამოვიტანდი თქვა, გავყიდდი ბაზარში, „მერკის“**) ფარას ვიშოვიდი და ელანდზედ ისევ ოზურგეთს გავჩნდებოდი. აწი და რაღა ვქნა! წრეულს ნავს ვეღარ ვნახამ თვალით... თუ კი ასთე მოხდებოდა, რა მიჭირდა მე უგუნურს, წამომეტანა თან წლის საგძალი მაინც! —ოხუნჯობდა მოხუცი და თან ულვაშებ ქვეშ ოდნავ მწარეთ ეცინებოდა:—ჩემი სიკვტილი! გეუვიდა „აპალაციას“ ვადა, აპა, წავხდი და დევილუპე კაკალი კაცი!—წამოიძახა კიდევ ცოტა სიჩუმის შემდეგ მოხუცმა, ხელი-ხელს შემოჰკრა, მოტრიალდა, იქვე ახლო იპოვა დიდი ქვა და ზედ ისეთის სახის გამომეტყველებით ჩამოჯდა, რომ კაცს ეგონებოდა, მართლა სამუდამოდ დაიღუპა მოხუციო.

ახალგაზრდას მოხუცისთვის არ ეცალა. წყლის გულზე ერთ წერტილს მისჩერებოდა და თვალს არ აშორებდა.

იმედ-დაკარგულმა მოხუცმა ცოტა ხნის შემდეგ მოიხსნა მხრიდან პაწია, ჭრელი და ცარიელი ხურჯინი, ამოიღო თავის ქნევით უბიდან თუთუნით სავსე ქისა და პაპიროზის დამზადებას შეუდგა ბურტყუნით.

— რაიო, კუტა!—მიუბრუნდა ახალგაზდას მოხუცი, როცა დამზადებული პაპიროზი პირში ჩაიდო და ასანთისთვის ჯიბისკენ ხელი წაიღო:—ფეხით ფიქრობ იქით კედროთ გადარებას, თუ რაფერაა შენი საქმე, რომ მიგიჩერებია თვალები წყლისკენ?

— გადარება კი არა, ბატონო, და კი ვიზამდი კაის, რომ წამომეტანა თან ანკესი!—ამოოხვრით შემოჰხედა ახალგაზრდამ მოხუცს და თან სუფსისკენ თითი გაუშვირა, სადაც წყალი ძაბრივით ტრიალებდა, ოდნავ იზნიქებოდა, სიღრმეში ქანდებოდა, პროწიალა ქაფით ივსებოდა, შემდეგ ერთბაშად იზნიქებოდა უკანვე და ფართოდ იშლებოდა ზედა გულზე:—ა, იქანა, ბატონო, იმ მორევში აწი რომ ლოქო ცუნცრუკობს, ელანდზე გადმოვაგდებდი ქვიშაზედ...

*) ცდა, დახანება.

**) მარკა.

— რა გიჭირდა, კუტა, კი გეყოფოდა გაისამდის!—დაცინვით მიუგო მოხუცმა და ღიმილით შეჰხედა ახალგაზდას:— დასტურ, კი ყოფილხარ კაი რეგვენი, ჩემო კუტა, სათებზაოთ მოდიოდი და ანკესი კი არ გაგახსენდა?

— სათებზაოთ კი არა, აკეთს მივალ!—მკვახედ მიუგო ახალგაზრდამ და შუბლი შეიკრა.

— ვისი ხარ, კუტა?

— ლავრენტის.

— რა გქვიან?

— ხოსიკელა!

— ქალაქს იყავ სავაჭროდ თუ?—ჰკითხა კიდევ მოხუცმა ცოტა სიჩუმის შემდეგ და თამბაქო მადიანად გააბოლა.

— არა, ბატონო, სამკითხველოს ვიყავ გაზეთიზა!—უხალისოდ მიუგო ხოსიკელამ და თვალები საშინლად გააფაციცა ამორჩეულ წერტილისკენ.

— რაიო, რას ყიყინობს გაზეთი? ოსმალო კიდევ არბევს ი ერთი მუჭა ხალხს, მაკადონია რომ ჰქვიან, თუ რაცლა ეშმაკია?

ამ ჟამად ხოსიკელას მაკედონიისთვის არა სცხელოდა, გარინდებული მისჩერებოდა სუფსას და აღნიშნულს წერტილს თვალს არ აშორებდა. აგერ, ის წერტილი ამოიზნიქა, ამოიბურთა, გასკდა, მოიღო ყრუ-ბოხი ტკაცუნი და წყალი შადრევანივით ამოისროლა მაღლა.

— უი, მრეხვე თავშო!—შეჰყვირა ხოსიკელამ უცბათ:— ა, დახე, ა, რამოდენაზე ამოხტა ი ლოქო, ი წყეული, დედა ღმერთო!—ერთ თვალის დახამხამებაზე სახე აწითლებული წამოიჭრა ფეხზედ და ისე მოიმართა და გაიჭიმა წელში, თითქო წყალში გადახტომას აპირებსო.

— კუტაი, გედირიე? სად ხედავ ლოქოს?—გაკვირვებით ეკითხებოდა მოხუცი და თან მდინარეს ყოველ მხრივ ათვალიერებდა.

— ა, ბატონო, ა, ა, სად ამოჰყო ეხლა თავი!—ჰყვიროდა ხოსიკელა და თან სუფსისკენ ხელს იშვერდა.

— ზერელე სჩივი, კუტაი, თუ ქვერელე? თვალი კი მიჭრის რიგიან და რეიზე ვერ ვხედავ!—ეუბნებოდა მოხუცი და კისერ წინ წაწეული აქეთ-იქით იყურებოდა...

— ა, ბატონო, ა, ზერელე... ა, ქვერელე, ა, კუდი გეიქნია, კუდი! შეხედე, ბატონო, შეხედე!—აყრიდა ზედი-ზედ ხოსიკელა. მაგრამ მოხუცი ვერსად ვერას ამჩნევდა.



აფრიკა დაკარის მცხოვრებნი.

— კუტაი, მოცლილი ყოფილხარ გეტყობა და იმიზაა რომ თავს იგდებ!—გაუწყრა ბოლოს მოხუცი:—რეგვენი რომ ხარ, იმიზა გებლანდება თვალებში ლოქოც და ჭინკებიც, თვარა რა უნდა ეხლა, ყაზახო, სუფსაში ლოქოს!

— აბა გუშინ რა იყო, სირმაის ბიჭმა რომ ერთი უშველებელი ლოქოფაჩა გამოათრია!

— საითგან, კუტა?

— საითგან და აფთრიაქის ქვეით რომ დიდი მორევია, იქანათგან!

— დასტურ ჩივი,*) კუტა?

— ა, ბატონო, პირჯვარ გფიცავ! —ხოსიკელამ პირჯვარი გამოისახა და დაუმატა: — ჩემდა მის დღემჩი ტყვილათ არ



არტისტი ქალი იავორსკისა,

რომელიც დღეიდან ჭმართავს რამდენსამე წარმოდგენას არტისტ. საზ. თეატრში.

შითხრობია და ახლა რავას გკადრებთ, ან მაინდა მაინ რეიზა უხდა ვიცრუო, ბატონო! —დიდის გაოცებით ეკითხებოდა ხოსიკელა.

— შენ ნახე, კუტა, შენის თვალით, თუ ვინცლა სხვაიმ გითხრა?—არ უჯერებდა მაინც მოხუცი.

— თვითონ, ბატონო, თვითონ ჩემის თვალებით ვნახე, ა, რავაც შენ გიმზერ, სწორეთ ამდონზე უყურებდი... რა ფერ იყო საქმე, თუ იცით! სირმაის ბიჭმა რომ ანკესი ისროლა, იქანავე მოზღვეულზე ვიდექი. ერთის თვალის დახამხამებაზე ისე ძალუან გეიჭიმა წყალში ბაწარი, რომ მიხაკოს, სირმაის ბიჭს, კინღამ, სულ ცოტას უკლდა, მკლავები არ ამოსცვივდა. ვიფიქრე, რაცლა ჯირკვს თუ მოედო ანკესი თქვა. ერთ წუთს გავყუჩდი. ერთბაშათ, ბატონო, მიხაკომ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დეიქნია და დეიქნია ბაწარი! —აქ ხოსიკელამ ისე ღონივრად დაიქნია სახე და მკლავები, რომ გეგონებოდათ, თვალის კაკლები წამოსცვივდაო: —უცბათ გევიხედე, ბატონო, და ერთი, რავაც გენახოს უბრალო, მოგლეჯილი მთა, მისთანა უშველებელ ლოქოფაჩას კი მოხვდა რეხვა კენჭებზე. რავა შესაზარი იყო მერე! იმის უდიდესი არ გენახვებათ, ბატონო, მის დღემჩი! ახლა, ა! ერთი უბედურათ რომ დაალო პირი და კენჭებზედ შეიფართხალა, მთლათ დედამიწა შეინძრა! —ხოსიკელამ ისე ღონივრათ დაალო პირი, გეგონებოდათ ლაყუჩები ამოსცვივაო, თან თითის წვერებზე შესდგა და ისე გაშხლართა ხელები, რომ მკლავებმა სახსრებში ტკაცუნი მოიღეს: —მიხაკომ რავაც დეინახა, „უიო“ იკივლა ერთი უშველებელი და შიშისგან ძირს გეინარცხა. მოსკდა, ბატონო, ცა და ქვეყანა! რაც ქალაქში ჯარი ხალხია ყველაყანი რომ წესია ზედ, ნძრევა რა არის, ბატონო, ნძრევა ვერ უქნეს...

ხოსიკელა რასაც სიტყვით ვერა ჰხატავდა, სახის და ტანის მოძრაობით ავსებდა. საშინელი შესახედი იყო ამ დროს ხოსიკელა. შუატანისა, მოსხლეტილი და მოხდენილი, ისე წარმტაცათ ატრიალებდა მაყვალივით ეშხიან შავ თვალებს, ამაყად და ცქვიტად ათამაშებდა სიცოცხლით სავსეს და გამომეტყველ სახეს, რომ კაცი უნებლიეთ აღტაცებაში მოჰყავდა. საქმე ის იყო, რომ ამ ერთის თვის წინად მორევში, აფთიაქის ახლოს, ერთმა მეთევზემ სულ მოულოდნელად ერთი პატარა ლოქო დაიჭირა. ეს იშვიათი შემთხვევა დიდს თუ პატარას კაი ხანს პირზედ ეკერა. სუფსამ საზოგადოდ თევზი არ იცის, ამ ადგილს მაინც, და მით უმეტეს ლოქო; წელიწადში ერთხელ თუ როგორმე მოჰყვებოდა ხოლმე ლოქო და ისიც ძალიან შორიდან წამოსული.

— სულ კაი, მარა, იმ სისხო ლოქოს რაფერ გაუძლო ი დაღლეტილმა ბაწარმა?—ღიმილით გააწყვეტინა მოხუცმა და თან გემრიელათ მოსწია პაპიროსი.

— რაფერ გაუძლო და, ა! —უჩვენა თავის მკლავზედ ხოსიკელამ: —ამაზედ უფრო ბევრათ უმსხოსი ბაწარი აქვნდა ანკესს მობმული! აპა, რაი!

— სტყუი, კუტა, სტყუი!—ველარ მოითმინა მოხუცმა და სიცილი წასკდა.

ხოსიკელა მიჰხვდა, რომ მეტის-მეტი მოუვიდა. სირცხვილით სახეზედ აწითლდა; არ იცოდა, რა მოეგონებინა რომ სიტყვა ბანზედ აეგდო, და თვალებით აქეთ იქით ფაცურს მოჰყვა.

— გეიხედე, ბატონო, გეიხედე, ეშველა ივანიკას! ე, რაფერ მოუსვა ნიკალამ!

მოხუცმა ცარიელ ხურჯინს სტაცა ხელი, ძველი ჩოხის კალთები ჩაიწყო სარტყელში, წამოდგა ფეხზედ, შუბლზედ ხელი მიიდო და გაღმისკენ მოჰყვა ყურებას.

— არ გრცხვენია, კუტა, რას ცრუობ, ნავი ადგილიდგან არ იძვრის და ჩივი,*) წამოვიდაო! სადაა ნიკალა?—მოხუცმა უფრო გაკვირვებით დაიწყო მზერა ნავისკენ და როცა უკანასკნელზედ რაღაც ჩიტს მოჰკრა თვალი, გაგულისებული მოუბრუნდა ხოსიკელას:

— ყაზახო, ი ერთი წინწკინტელა ბეღარტი შენ ნიკალათ გეჩვენა? რა თავს იგდებ, ყაზილარო, ამ ხნით მოყრილს რომ მაჩერჩეტებ!

ხოსიკელა უწინდელზედ უარესად შეკრთა. მეტად შერცხვა თავის თავისა, სახეზედ ალმა გადაჰკრა, თავ ჩაღუნული მოჰყვა ქვიშაზედ ფეხების ფათურს და ნელ-ნელა მოშორდა მოხუცს. მოხუცმა ველარა აწამარა, მხოლოდ თავი გაიქნ-გამოიქნია, ცხვირში რაღაც წაიდუდუნა, ისევ ქვაზედ ჩამოჯდა და პაპიროზის გაკეთებას შეუდგა.

მზეს სქელი ჯანყი გაერღვია და უკვე არაქათ მილეული შუქი სუსტად მოეფინა სუფსის ხეობისთვის აუარებელ ბაყაყთა ყიყინისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

ძირს, მინდვრად, ჯანყი ბამბასებრ თეთრ ღრუბლებათ იკრიფებოდა და ათას ნაირ ფორმის, სიდიდის და სისქის ნაგლეჯებათ იქცეოდა: ერთი ნაწილი ტყეს აქა-იქა, ქუდივით, თავს ჩამოსცმოდა, მეორე—ქარავანივით, მწკრივად, ტყის პირს გაჰკროდა, ნელ-ნელა მისცურავდა და თან მაღლა-მაღლა მიდიოდა. სუფსაში ვილაებსაც ხარები შეელალათ და ერთის ყიჟინით და ქვების სროლით გაღმისკენ მიერეკებოდნენ.

გ. მაქსიმიძე

(დასასრული იქნება)

*) მართალს ამბობ?

*) ამბობ.

* * *

ეს უფერული ცხოვრება, ბნელი
რომ თავს მაბეზრებს, გულს მიზიანებს,
მძაგს ეგ სიცოცხლე შეწუხებული
და მოკლებული ყოველს სიამეს.

—

მზადა ვარ ყველას გამოვეთხოვო,
განვშორდე სოფლის უკუღმართობას,
არარაობის ჭექა,-ქუხილსა,
უსამართლობის შურსა და მტრობას.

—

მაგრამ იმავ დროს ბრძოლისა ველი
დიდის სახით წარმომიდგება
და ვფიქრობ იმ დროს, ჩემი სიცოცხლე
ჯერ საჭიროა, კიდევ მჭირდება.

—

ოდეს მეწვიოს ის დრო ნეტარი,
მაშინ დასრულდეს ჩემი ცხოვრება,
რომ დასცხრეს ბარემ სიცოცხლე კრული,
ანუ ეს ტანჯვა და მღელვარება.

კატო მიქელაძე.

(უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან`



თაგვმა არ დაამინა

ჩვენი განათლებული დედები



— ექიმო, უკაცრავად, მოგიწვიეთ და არა გკითხეთ კი, შეგიძლიანთ განა ჩემს ბავშვს უწამლოთ, საფრანგეთშია დაბადებული?

— ? . . .



— რა საჭიროა ქოლგა ვატარო თან, წვიმაში ათას ქოლგას მოაშურებენ ჩემსკენ...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

სურათებიანის დამატებით წლიწადში ღირს—6 მანეთი.

1903 წლის ხელის-მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი

შოთა რუსთაველისა

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

„მოამბე"

წლიწადში ღირს—10 მან. გაგზავნით 11 მან.

„ცნობის ფურცელი" სურათებიანის დამატებით

„მოამბის" ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნება

Доз. ценз. Тифлисъ, 16 Апрѣля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.